პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 249 (5050) | შაბათი, 30 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს სოხუმში იწყება აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური, ტერორისტული საიჯანყებო ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი.

აღვგავოთ პირისაგან მიწისა ხალხის უსაზიზღრესი მტრები, ფაშიზმის [illegible] აგენტები, სოციალისტური სამშობლოს მოღალატეები.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის პარტიის და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მაღლა გვეჭიროს კომუნიზმის უძლეველი დროშა!

ხალხის მტრებს — ხალხის რისხვა

დღეს იწყება აფხაზეთის კონტრრევოლუციურ - საიჯანყებო ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის ... ბოლომდე ალასვლე სიტყვებით აცხადებენ, რომ მათ უნდოდათ მზიანი აფხაზეთისათვის წაერთმიათ ოქტომბრის მონაპოვარი ... [illegible]

... აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას და ეწეოდნენ ჯაშუშურ მუშაობას ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ.

საბრალდებო დასკვნაში დღეს მთელი ქვეყანა წაიკითხავს ხალხის უსაზიზღრესი მტრების ალმაშფოთებელი საქმიანობის შესახებ. ისინი არაადამიანური ენით, შხამითა და ... ნი პარტიის საყვარელი შვილის კიროვის სისხლში ხელგასვრილნი, აფხაზი ხალხის აწიოკების, ჯაშუშობის, დივერსიის, ტერორის, უმაგალითო ვერაგობისა და სისაძაგლისათვის სიკვდილით უნდა დაისაჯონ. ხალხის მტრებს—ხალხის რისხვა. — ასეთია მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავს!

2. შეუპოვარი ბრძოლის ოცი წლის განმავლობაში სსრ კავშირის მუშებმა და გლეხებმა ააშენეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სოციალისტური საზოგადოება. განვამტკიცოთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და ძლიერება!

3. ფაშისტური ტერორი, სილატაკე, უმუშევრობა — აი მშრომელთა ხვედრი კაპიტალიზმის ქვეყნებში!

ექსპლოატაციის მოსპობა, თავისუფალი, შეძლებული ცხოვრება მშრომელებისათვის—აი ჩვენი ოქტომბრის რევოლუციის შედეგი!

4. ძველი რუსეთი საცოდავი და უძლური იყო. საბჭოთა კავშირი ოცი წლის განმავლობაში გახდა სოციალიზმის მძლავრ და დოვლათიან ქვეყანად. გაუმარჯოს ჩვენს ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც ბედნიერება მოუტანა სსრ კავშირის მშრომელებს!

5. საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლის მანძილზე განმტკიცდა და ურღვევი გახდა მუშათა და გლეხთა კავშირი. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს—საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს!

6. მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. საბჭოთა ქვეყანაში იზრდება და მტკიცდება თანასწორუფლებიან ხალხთა დიადი კავშირი. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს და დიად მეგობრობას!

7. მუშათა კლასის დიქტატურამ უზრუნველჰყო სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში. განვამტკიცოთ სსრ კავშირის მუშათა კლასის დიქტატურა—მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მთელი ჩვენი საზოგადოების მიმართ!

8. სოციალისტური რევოლუციის ოცი წლის მანძილზე ჩვენი სამშობლო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

9. სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუცია—ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგია. გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის და ნამდვილი დემოკრატიზმის კონსტიტუციას!

10. „ჩვენი რევოლუცია არის ერთადერთი რევოლუცია, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ბორკილები და მისცა ხალხს თავისუფლება, არამედ კიდეც მოასწრო მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა“ (სტალინი).

11. ყველა ქვეყნის პროლეტარებო! კოლონიების დაჩაგრულო ხალხებო! უფრო მაღლა ასწიეთ ლენინ-სტალინის დროშა, ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას მთელ მსოფლიოში!

12. კლასობრივ ძმებს, კაპიტალის ტყვეებს, სისხლიანი ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ, მუშათა კლასის გამარჯვებისათვის მებრძოლთ—ჩვენი პროლეტარული სალამი!

13. ესპანელი ხალხის ბრძოლა შინაური და უცხოური ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საერთო საქმეა. სალამი გმირ ესპანელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის!

14. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ!

15. ფაშისტები ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. ძირს ომის ფაშისტი გამჩაღებლები! სსრ კავშირს — ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა სამშობლოს დასაცავად!

16. „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარის და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას“ (სტალინი).

17. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, უძლეველ წითელ არმიას, სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის მძლავრ დასაყრდენს, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა ერთგულ გუშაგს!

18. გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს, ჩვენი სამშობლოს ამაყ შევარდნებს, რომელთაც მსოფლიო საავიაციო რეკორდებს მიაღწიეს!

19. სალამი მესაზღვრე მეომრებს, სოციალიზმის ქვეყნის ფხიზელ გუშაგებს!

20. მრეწველობისა და ტრანსპორტის დამკვრელთა და დამკვრელ-ქალთა მრავალმილიონიან არმიას, სტახანოველებსა და სტახანოველ-ქალებს, ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს—ბოლშევიკური სალამი!

21. მძიმე ინდუსტრიის და მანქანათმშენებლობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ქვანახშირის, ნავთის, ლითონის მაღალი ამოღებისათვის, საუკეთესო მანქანების დროულად გამოშვებისათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს!

22. მსუბუქი მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, მეთაურებო და ინჟინრებო! მეტი ჩითი, აბრეშუმი, მაუდი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს! იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

23. სალამი სოციალისტური მინდვრების სტახანოველებს, რომლებიც ბოლშევიკურად იბრძვიან მაღალი მოსავლისათვის! გაუმარჯოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას!

24. გადავაქციოთ სსრ კავშირი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მრეწველობისა და ტექნიკის, ყველაზე ნაყოფიერი სოფლის მეურნეობის ქვეყნად! მივაღწიოთ პროდუქტების სიუხვეს!

25. სსრ კავშირის ხალხთა კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი წარმატებებისა და მონაპოვრებისათვის!

26. გაუმარჯოს სსრ კავშირის თანასწორუფლებიან ქალს, აქტიურ მონაწილეს სახელმწიფოს, ქვეყნის სამეურნეო და კულტურული საქმეების მართვაში!

27. პიონერებო და პიონერო გოგონებო! საბჭოთა სკოლის მოწაფეებო! დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ ლენინის საქმისათვის მებრძოლებად გახდომა!

28. გაუმარჯოს კომკავშირს — ბოლშევიკური პარტიის მძლავრ რეზერვს და საიმედო თანაშემწეს! გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მშრომელ ახალგაზრდობას!

29. „მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა ყური დავუგდოთ მასების ხმას, აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა“ (სტალინი).

30. გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! ბოლო მოვუღოთ პოლიტიკურ უდარდელობას ჩვენს წრეში!

31. აღმოვფხვრათ ხალხის მტრები—ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მავნებლები, უცხოეთის ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებული აგენტები! სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

32. ბოლომდე ვამხილოთ ყველა და ყოველგვარი თვალთმაქცი! გადავაქციოთ ჩვენი პარტია ბოლშევიზმის უძლეველ ციხე-სიმაგრედ!

33. მუშებო და გლეხებო! გაშალეთ საარჩევნო კამპანია! წამოაყენეთ ერთად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში საუკეთესო ადამიანები, რომლებიც ლენინ-სტალინის საქმის ბოლომდე ერთგულნი არიან!

34. სსრ კავშირის მშრომელებო! აირჩიეთ უზენაეს საბჭოში ჩვენი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები, მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლები!

35. კომუნისტებო! უფრო მტკიცე კავშირი უპარტიო მასებთან! საარჩევნო კამპანიაში მთავარია არ გავემიჯნოთ უპარტიოებს, არამედ ვიმოქმედოთ უპარტიოებთან შეთანხმებით და მათთან ერთად წამოვაყენოთ კანდიდატები სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში!

36. გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას—სსრ კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს!

37. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—ომის, ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

38. გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინის უძლეველ დროშას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

ბათუმის მშრომელნი კავშირის საბჭოში ამხ. ლ. ბერიას კანდიდატურას ასახელებენ

ბათუმი, 28 ოქტომბერი (საქდესი). ბათუმის მანქანათმშენებლი ქარხნის, ნავსადგურის და ... [illegible] — საქართველოს მშრომელებმა ერთგული სტალინელის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით, ლენი- ... [illegible] შვილი და სხვ. მხურვალედ მიესალმნენ ამხ. ბერიას კანდიდატურას. [illegible]

მიმართვა სსრ კავშირის ხალხებისადმი

ვალენსია, 29 ოქტომბერი (საქდესი). [illegible]

დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება:

1. პოლკოვნიკს ივანე ივანეს-ძე ევსეევს
2. კაპიტანს ივანე ტროფიმეს-ძე ერემენკოს
3. უმცროს მეთაურს თევდორე კუზმას-ძე კოვროვს.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ, სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ა. ანდრეევი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 28 ოქტომბერი.

ქრონიკა

სსრ კავშირის ცაკმა დაამტკიცა ამხ. რ. ი. ეიხე სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად. [illegible] ... ლა ამხ. მ. ა. ჩერნოვი სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან (საკდესი).

პროლეტარი

«ПРОЛЕТАР»—орган ЦК и ТК КП. (б) Г. и ЦИК Грузинской ССР ||| „პროლეტარ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი — გაზეთ „პროლეტარს“

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან გაზეთ „პროლეტარს“ მისი ათი წლისთავზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ გაზეთი „პროლეტარი“ მომავალშიაც მაღლა დაიჭერს ლენინ-სტალინის დროშას, განუხრელად იბრძოლებს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, პარტიული და უპარტიო მასების ბოლშევიკურად აღზრდისათვის, კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის, პარტიისა და ხალხის მტრების გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი.

„კომუნისტის“ რედაქციისაგან

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია და მუშაკთა მთელი კოლექტივი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის მებრძოლ თანამოსაგრეს — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა, თბილისის კომიტეტისა და საქ. ცაკის ორგანოს — გაზეთ „პროლეტარს“ მისი 10 წლისთავის დღეს.

გაზეთმა „პროლეტარმა“ უდიდესი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქართველოს ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგ ბერიას მეთაურობით „პროლეტარი“ მომავალშიც შეამჭიდროებს მასებს ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, აღზრდის მასებს მთელი კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის საფუძველზე.

10 წლისთავის დღეს ვუსურვებთ გაზეთ „პროლეტარს“, მის მუშაკებს, მუშსოფლკორთა არმიას ახალ წარმატებებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

ამხ. კალინინის და ლიტვინოვის მისასალმებელი დეპეშები ბ-ნ ბენეშს და ბ-ნ კროფტას

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 19 წლისთავთან დაკავშირებით

მოსკოვი, 28 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 19 წლისთავთან დაკავშირებით, ამხ. კალინინმა და ამხ. ლიტვინოვმა ბ-ნ ბენეშს და ბ-ნ კროფტას გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშები:

„პრაღა. დოქტორ ედუარდ ბენეშს — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ... [illegible] ... სლოვაკიის რესპუბლიკას მუდმივ აყვავებასა და წარმატებებს.

კალინინი“

28 ოქტომბერი, 1937 წ.

„პრაღა. დოქტორ კამილ კროფტას — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

მხურვალედ მოგილოცავთ დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუ- ... [illegible]

პატივი მაქვს საბჭოთა კავშირის ხალხების და პირადად ჩემი სახელით მოგილოცოთ თქვენ და ჩეხოსლოვაკიის ხალხს დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის არსებობის 19 წლისთავი.

გულწრფელად ვუსურვებ ჩეხო- ... [illegible] ... ჩვენს ქვეყნებს შორის გულწრფელი მეგობრობის ბედნიერად არსებული ურთიერთობანი მომავალშიაც განვითარდება ასევე წარმატებით მათი ხალხებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის საკეთილდღეოდ.

ლიტვინოვი“.

28 ოქტომბერი, 1937 წ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 29 ოქტომბერი (საკდესი). 28 ოქტომბერს ბელგიის ელჩმა მოსკოვში ბ. ლე-ტელიემ შემდეგი ნოტა გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს მ. მ. ლიტვინოვს:

ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებთან შეთანხმებით, რომელნიც დათანხმდნენ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ მთავრობათა კონფერენციაში, რაც 1937 წლის 3 ნოემბერს შესდგება ბრიუსელში იმ მიზნით, რომ განიხილოს, ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში და შეისწავლოს თანხმობითი საშუალებანი იმ სავალალო კონფლიქტის დამთავრების დასაჩქარებლად, რომელიც იქ მძვინვარებს, ბელგიის სამეფო მთავრობას პატივი აქვს მიიწვიოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მონაწილეობის მისაღებად ამ კონფერენციაში.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა პასუხად ბელგიის მისიაში 29 ოქტომბერს გაგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

ადასტურებს რა ბელგიის მისიის ამა თვის 28-ით დათარიღებული ვერბალური ნოტის მიღებას, რომლითაც საბჭოთა მთავრობა მიწვეულია მიიღოს მონაწილეობა ამა წლის 3 ნოემბრისათვის ბრიუსელში დანიშნულ კონფერენციაში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს პატივი აქვს გაუწყოთ, რომ, თუმცა სსრ კავშირი არ არის ვაშინგტონის ხელშეკრულების მონაწილე, მაგრამ, ღებულობს რა მხედველობაში, რომ ბრიუსელის კონფერენცია მოწვეულია ერთა ლიგის ამა თვის 6-ის ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად, საბჭოთა მთავრობა, როგორც შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებში დაინტერესებული, მზად არის მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კონფერენციაში.

რომენ როლანის წერილი სადრი ახუნს

ყაზანი, 28 ოქტომბერი (საკდესი). თათარმა მოქანდაკემ სადრი ახუნმა დიდ ფრანგ მწერალს რომენ როლანს გაუგზავნა თავისი ნამუშევართა რეპროდუქცია და აცნობა, რომ მას სურს გამოძერწოს მისი ბიუსტი. ამ დღეებში მან მიიღო რომენ როლანის ხუთი ფოტოსურათი და შემდეგი შინაარსის წერილი:

— „ძვირფასო ამხანაგო სადრი ახუნ!

გმადლობთ წერილისათვის. მაპატიეთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ,— გადატვირთული ვიყავი მუშაობით. ჩემი ჯანმრთელობაც სრულიადაც ვერ არის მტკიცე, უკვე 72 წლისა ვარ. გიგზავნით რამდენიმე ფოტოსურათს, მაგრამ არ ვიცი, შესძლებთ თუ არა მათი მიხედვით გააკეთოთ რაიმე მიმსგავსებული. ბევრი მოქანდაკე და მხატვარი ცდილობდა მოეცა ჩემი გამოსახულება, მაგრამ ვერც ერთი ვერ მაკმაყოფილებს.

ყოველ შემთხვევაში გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობასა და კარგად ყოფნას. გთხოვთ იწამოთ ჩემი გულითადი სიმპატიები.

რომენ როლანი“.

გერმანიის უარი 9 სახელმწიფოს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე

ბერლინი, 29 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ უარჰყო მიწვევა მონაწილეობა მიიღოს ცხრა სახელმწიფოს კონფერენციაში, რომელიც ბრიუსელში იხსნება 3 ნოემბერს. გერმანიის პასუხში, რომელიც დღეს გადაეცა ბელგიის ელჩს, უარი იმით არის დასაბუთებული, რომ გერმანია არ შედის ცხრა სახელმწიფოს შეთანხმებაზე ხელმომწერ სახელმწიფოთა შემადგენლობაში. გერმანიის მთავრობა, ნათქვამია პასუხში, „მზად არის ყოველთვის ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, როგორც კი დადგენილი იქნება, რომ არსებობს აუცილებელი წინამძღვარები“.

სასამართლო დასკვნა

მ. ი. ჩალმაზის, მ. ა. ლაკობას, კ. პ. ინალ-იპას, დ. ი. ჯერგენიას, ვ. დ. ლაკობას, ვ. კ. ლადარიას, ა. ფ. ენგელსის, ს. ს. თურქიას, პ. ა. სეისიანის, მ. ი. ქიშმარიას, ს. ე. ებჟნოუს, ხ. პ. ჩანბას და კ. დ. ახუბას

საქმისა გამო, რომელთაც ბრალი ედებათ სამშობლოს ღალატსა, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობასა, მავნებლობასა და დივერსიასა, ტერორისტული აქტების მომზადებასა, აჯანყების მომზადებასა და შპიონაჟში, ე. ი. ისეთ დანაშაულთა ჩადენაში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1a}, $19\text{-}58^{2}$, 58^{7}, $19\text{-}58^{8}$, 58^{9}, 58^{11} მუხლებით.

აფხაზეთის ასსრ შინსახკომმა 1937 წელს აღმოაჩინა და ლიკვიდაცია უყო კონტრრევოლუციურ დივერსიულ - მავნებლურ ჯაშუშურ ტერორისტულ სააჯანყებო ორგანიზაციას რომელიც შექმნილი იყო აფხაზეთის ცაკის ყოფილი თავმჯდომარის **ნ. ლაკობას** მიერ. ეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აფხაზეთის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს პროტექტორატით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ეწეოდა ძირგამომთხრელ დივერსიულ - მავნებლურ მუშაობას აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში, ამზადებდა ტერორისტულ აქტებს საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სსრ კავშირზე კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმის მომენტში და ეწეოდა ჯაშუშურ - სადაზვერვო მუშაობას ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ.

საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალები სავსებით ადასტურებენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყველა მონაწილის [illegible]

[illegible] ლობის პერიოდში, **ნ. ლაკობა** დაამუშავა პირადად **ტროცკიმ** ჯერ კიდევ 1926 წ. და იგი მისი თავგამოდებული მომხრე იყო. პირადად მე, მხარს ვუჭერდი რა **ნ. ლაკობას**, მთლიანად ვენდობოდი მას პოლიტიკურად და ამასთან დაკავშირებით ქედს ვიხრიდი **ტროცკის** ავტორიტეტის წინაშე, რომლის იდეური გავლენის ქვეშაც ვიმყოფებოდი".

ამრიგად, ბრალდებულთა ჩვენებებით გამორკვეულია, რომ აფხაზეთში კონტრრევოლუციურ ორგანიზაციის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ 1923-24 წ. **ტროცკის** გავლენით, რომელმაც იმ დროსვე გადაიბირა აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელები **ნ. ლაკობა და მ. ლაკობა.** 1930 წელს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებმა გააცხოველეს თავიანთი საქმიანობა, მიმართული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა საქმიანობაში **ნ. ლაკობას** ხელმძღვანელი როლის შესახებ **მ. ლაკობა** იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„იყო რა საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი და აბსოლუტურად არ იზიარებდა რა პარტიის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის საკითხებში, **ნ. ლაკობა** სთვლიდა, რომ კოლექტივიზაცია საბოლოოდ დაამონავებდა აფხაზეთს და დაღუპავდა მას... რის გამო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტიკა სოფლად არა- [illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალდებო დასკვნა

(გაგრძელება)

ზომებს პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად. აფხაზეთის მიწსახკომმა გაგრის რაიონში გაგზავნა ავადმყოფი საჯიშე ულაყი („პრინცი"). ამის შედეგად სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თურქულით ავად გახდა 23 ფაშატი".

სოხუმის რაიაღმასკომის მიწგანის ყოფილი გამგე ს. ბ. ლევონიანი, რომელიც აგრეთვე დაპატიმრებულია როგორც ერთერთი აქტიური წევრი აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, ადასტურებს რა სეისიანის ჩვენებებს, ლაპარაკობს:

„საკოლმეურნეო მშენებლობის დისკრედიტაციის მიზნით მე არ ვღებულობდი ნამდვილ ზომებს სას.-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა და დამახინჯებათა იმ მრავალრიცხოვანი ფაქტების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში; ეს ფაქტებია: საკოლმეურნეო მიწების თვითნებური დატაცება და საკოლმეურნეო მიწების ხარჯზე საკარმიდამო ნაკვეთების გადიდება".

მავნებლობას საკოლმეურნეო მშენებლობაში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა აგრეთვე სას.-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ხაზით, უმთავრესად, მისი მეორე მუხლის მიმართ, რომელიც შეეხება საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას. კოლმეურნეობებში წარმოებისა და დისციპლინის დეზორგანიზაციის მიზნით კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია განგებ სტოვებდა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში საკარმიდამო მიწებს სას.-სამ. არტელის წესდებით დადგენილი ნორმის ზევით.

ბრალდებულმა ჩალმაზმა ამ საკითხზე აჩვენა:

„საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების მოთხოვნა მიწათმოწყობის ნაწილში, ე. ი. კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მიზომვა, შეგნებულად არ სრულდებოდა".

ბრალდებული ჯერგენია ამის შესახებ შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„კოლმეურნეობების ეკონომიური ძლიერებისათვის ძირისგამოთხრისა და მათი დაშლის მიზნით ჩვენ ვატარებდით კოლმეურნეობათათვის საკარმიდამო მიწების მავნებლურად მიზომვას, ვუტოვებდით რა მათ სტალინური წესდებით დადგენილ ნორმაზე მეტს. ჩვენ ამით ვაღწევდით იმას, რომ კოლმეურნეები უფრო მეტს მუშაობდნენ თავიანთ საკარმიდამო მიწებზე, ვიდრე საკოლმეურნეო მინდვრებზე".

ეხება რა ამ საკითხს, ბრალდებული ინალ-იპა უჩვენებს შემდეგს:

„მავნებლობის პოლიტიკა კოლმეურნეობებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ტარდებოდა გუდაუთის რაიონში. სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების აშკარა დარღვევა მიწათმოწყობის ნაწილში, ე. ი. კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მიზომვის დარგში, ყველგან ხდებოდა".

ბრალდებულმა ლევონიანმა ამ საკითხზე აჩვენა:

„საკოლმეურნეო მშენებლობის დისკრედიტაციის მიზნით მე არ ვღებულობდი ზომებს სას.-სამ. არტელის წესდების დარღვევის იმ მრავალრიცხოვანი ფაქტების აღმოსაფხვრელად და სალიკვიდაციოდ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში".

ამასთანავე ერთად კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აფხაზეთში ბრალდებულ მ. ლაკობას საშუალებით ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა თამბაქოს ფერმენტაციის დეზორგანიზაციის, მისი გაფუჭების, არასწორი დახარისხების, შენახვის და სხვ. ხაზით.

ი. ს. აკოპოვი, აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, ამ საკითხზე შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„მ. ლაკობამ წინადადება მომცა დამეწყო ყოველდღიური მავნებლობა სოხუმის საფერმენტაციო ქარხნის სისტემაში. ვანხორციელებდი რა მიხეილ ლაკობას დავალებებს, მე არ ავამუშავე მეორე საფერმენტაციო ქარხანა, რასაც შედეგად მოჰყვა თამბაქოს გაფუჭება 3 ათასი დასტის რაოდენობით. მ. ლაკობას მითითებით, პლანტატორებს შორის უკმაყოფილების შექმნის, თამბაქოს დამზადებათა ჩაშლისა (1936 წ. ნოემბერი, დეკემბერი) და კოლმეურნეთა ეკონომიკისათვის ძირისგამოთხრის მიზნით, ჩვენ მკაცრ სტანდარტს ვიყენებდით კოლმეურნეთა თამბაქოს მიღების დროს. ხელოვნურად ვამცირებდით თამბაქოს ხარისხს და ვაიძულებდით კოლმეურნეებს რამდენჯერმე მოეხდინათ თამბაქოს ხელახალი შეფუთვა".

დაადასტურა რა ეს გარემოებანი, კონტრრევოლუციური მუშაობისათვის დაპატიმრებულმა ტ. გ. სარქისიანმა აჩვენა:

„კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში მე შევედი 1936 წელს. ამ ორგანიზაციაში ჩამაბა მიხეილ ლაკობამ. 1936 წელს მ. ლაკობამ თავის კაბინეტში მე მომცა დავალება დამეწყო მავნებლობა და ძირი გამომეთხარა თამბაქოს კულტურის ეკონომიკისათვის, მიმეცა არასწორი მითითებანი თამბაქოს შენახვისა და ფერმენტაციის ხაზით იმ ანგარიშით, რომ შემემცირებინა თამბაქოს ხარისხი. კონტრრევოლუციური მავნებლობის პირველი აქტი იყო —მითითებათა მიცემა სოხუმის საფერმენტაციო ქარხნის საწყობებში თამბაქოს არასწორი შენახვისა და ფერმენტაციისათვის. თუ რამდენი თამბაქო დაიღუპა ჩემი მითითებით, ამის თქმა მე მიძნელდება, ვინაიდან ეს აღრიცხვას არ ემორჩილებოდა. ამა თუ იმ კოლმეურნეობის ეკონომიური სიმძლავრისათვის ძირისგამოთხრის მიზნით მე არაერთხელ ვაძლევდი დავალებას მიმღებთ და თვითონაც ვაიძულებდი კოლმეურნეებს მოეხდინათ მათთვის ჩაბარებული თამბაქოს ხელახალი შეფუთვა და ვამცირებდი მის ხარისხიანობას".

ამ საკითხზე ბრალდებულმა ენგელოვმა შემდეგი აჩვენა:

„1936 წელს სასტუმრო „ორიანტ"-ში" (თბილისი) ნ. ლაკობამ ჩემის თანდასწრებით ჩალმაზ მიხეილს მისცა შემდეგი ხასიათის დავალება: უნდა შექმნილიყო ისეთი მდგომარეობა, რომ თამბაქოს ნაცვლად ციტრუსებს რგავდნენ. ამით თამბაქო გამოიდევნება აფხაზეთის სოფლის მეურნეობიდან და ჩაიშლება თამბაქოს ექსპორტის გეგმა, რასაც მოჰყვება, ერთის მხრით, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით ვალუტის დაკარგვა, მეორე მხრით კი—შინა ბაზრისთვისაც შექმნება აგრეთვე სიძნელე".

ბრალდებული მ. ლაკობა შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„1934 წლიდან ზონალურ სადგურს წმინდა ხარისხის თესლის— „სამსუნის" და „ტრაპიზუნდის" ნაცვლად გამოჰყავდა ჰიბრიდები და ამით ამცირებდა თამბაქოს ხარისხს. ეს მავნებლობა იმდენად აშკარა იყო, რომ ჩვენ სიგნალების მიღება დავიწყეთ კოლმეურნეებისაგან და აგრონომებისაგან, რომლებიც კოლმეურნეობებში მუშაობდნენ".

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აფხაზეთში მავნებლობას ეწეოდა აგრეთვე მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში. ამ საკითხზე ბრალდებული კ. ინალ-იპა შემდეგ ჩვენებას იძლევა:

„აფხაზტყის დირექტორად ყოფნის დროს მე მივიღე ნ. ლაკობას დავალება მომეჭრა რაც შეიძლება ნაკლები ბზა და კაკლის ხეები, რათა არ შესრულებულიყო ამ სახის ექსპორტის გეგმები. მისი დავალებით წლითიწლობით იფუშებოდა ეს გეგმები".

ბრალდებულმა ვ. ლადარიამ, შეეხო რა იგი ამ საკითხს, აჩვენა:

„1934 წელს ჩემის თანდასწრებით ნ. ლაკობამ მავნებლობის დავალება მიიღო ნატან გრიგოლის ძე ფინკელშტეინისაგან (სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავუგოლის" უფროსი, შემდეგში—ტყვარჩელნახშირის მთავარი ინჟინერი) იმ მხრივ, რომ შეეცვალათ ტყვარჩელნახშირის შახტში მსხვილი სამაგრები წვრილებით: „სამუდამოდ ხომ არ აკეთებ ამ სამაგრებს, ბიჭო და გააკეთე უფრო წვრილები, კიდევაც რომ სადმე ჩამოინგრეს და მუშები გასრისოს, ეს დიდი უბედურება არ იქნება". ნ. ლაკობამ ფინკელშტეინის ამ მითითების საფუძველზე გამოიწვია ტყვარჩელშახტის ყოფილი უფროსი ხვედელიძე და წინადადება მისცა მას დაედგა უფრო წვრილი სამაგრები, ასაბუთებდა რა ამას ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილების სურვილით. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1934 წელს შახტში მოხდა ჩამონგრევა. მავნებლური მუშაობა ტყვარჩელნახშირის ხაზით სწარმოებდა „საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავუგოლის" უფროსის — ფინკელშტეინის პირდაპირი დავალებით და ნ. ლაკობას აქტიური მხარდაჭერით. იმავე პერიოდში პიატაკოვი ეუბნებოდა ნესტორ ლაკობას: თქვენ ტყუილად დათანხმდით ბზიბკომბინატის მშენებლობის შეჩერებაზე, მით უმეტეს, რომ ჩვენ ჩანთაში საკმაო ფული გვაქვს და თქვენ გმართებთ კვლავ დააყენოთ ეს საკითხი, ხოლო მე კი მხარს დაგიჭერთ. ფული სახელმწიფოსია და თქვენც რატომ უნდა დაინანოთ იგი".

ამ საქმის გამო ბრალდებული, აფხაზეთის სავაჭრო ორგანიზაციათა ყოფილი წარმომადგენელი თბილისში ენგელოვი, რომელიც კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ნ. ლაკობამ ჩააბა, აჩვენებს:

„მე მივიღე ნ. ლაკობას დავალება ჩემი მავნებლური მუშობა განმეხორციელებინა იმ მიმართულებით, რომ ჩამეფუშა საქართველოდან აფხაზეთში ისეთი საქონლის გაგზავნა, როგორიცაა: ცემენტი, რკინა, მანუფაქტურა, გალანტერია და სხვა სამრეწველო საქონელი. ჩემი მავნებლური მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა საქონელბრუნვის შემცირება".

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აფხაზეთში დივერსიულ-მავნებლურ მუშაობასთან ერთად ამზადებდა ტერორისტულ აქტებს საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

გამოძიების მასალებით დადასტურებულია, რომ 1933 წელს ბიჭვინთის რაიონში სროლის ატეხა იმ კატარღისათვის, რომელზეც ამხანაგი სტალინი იმყოფებოდა, მოაწყო ნ. ლაკობამ და კონტრრევოლუციურმა ჯგუფმა აფხაზეთის სახ. პოლიტსამმართველოს ყოფილი თავმჯდომარის ა. მიქელაძის ხელმძღვანელობით.

ამ საკითხზე მ. ლაკობამ აჩვენა შემდეგი:

„1933 წელს ჩემთან საუბარში ნ. ლაკობამ სთქვა, რომ მან კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩააბა აფხაზეთის სახ. პოლიტსამმართველოს უფროსი ა. მიქელაძე, რომელსაც მან, ნ. ლაკობამ, მისცა დავალება მოეწყობინა ტერორისტული აქტი სტალინის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს აფხაზეთში ისვენებდა. შემდეგში, შინსახკომის მუშაკის ანდრია ფილიას სიტყვით მე დაწვრილებით გავიგე, თუ როგორ მოხდა ბიჭვინთასთან სროლის ატეხა იმ კატარღისათვის, რომელზეც სტალინი იმყოფებოდა. სტალინის მოსაკლავად მიქელაძემ გადაბირა მიუსერასა და ბიჭვინთას შორის არსებული სანაპირო საგუშაგოს ერთერთი მუშაკი. მეკავშირედ მიქელაძესა და ამ მესაზღვრეს შორის იყო ანდრია ფილია. როდესაც სტალინი გაგრიდან მიუსერაში წავიდა, ა. ფილია პირადად, მიქელაძის დავალებით გაემგზავრა საგუშაგოზე და მოაწყო კატარღისათვის სროლის ატეხა. მიქელაძე გაგრაში ელოდა შედეგებს. ფილია ამბობდა, სტალინის მოკვლა იმ მიზეზით ვერ მოხერხდა, რომ კატარღა შორს წავიდა და ზუსტად ნიშანში ამოღება შეუძლებელი იყოო. ფილია აგრეთვე ამბობდა, რომ ის და მიქელაძე აგინებდნენ ამ მესაზღვრეს იმისათვის, რომ მან არ დაუცადა მოხერხებულ მომენტს, ე. ი. ნაპირთან კატარღის მიახლოვებას, დააჩქარა სროლის ატეხა, რითაც ჩაფუშა სტალინის წინააღმდეგ ტერორის მოხდენის შესაძლებლობა".

ამავე საკითხზე ბრალდებულმა კ. ინალ-იპამ აჩვენა:

„ბიჭვინთის რაიონში სტალინზე თავდასხმის ცდიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მე, ინალ-იპა, მოწმე ვიყავით საუბრისა, რომელიც მოხდა ნ. ლაკობასა და ა. მიქელაძეს შორის ვ. ამფარის და კიდევ ერთი კაცის თანდასწრებით, რომლის გვარი არ მახსოვს. ნ. ლაკობამ ლანძღვა-გინება გაუმართა მიქელაძეს და ეუბნებოდა მას: „ბიჭვინთის საქმის ჩაფუშვა იმის შედეგია, რომ შენ უდარდელად მოეპყარი ჩემი პასუხსაგები დავალებების შესრულებას. ეს საქმე შენ სხვებს გადააკისრე, თვითონ კი გაგრაში გარყვნილებას ეწეოდი, რითაც ჩაიფუშა სტალინის წინააღმდეგ ამ ტერორისტული აქტის შესრულება. მხოლოდ ჩემი ჩარევის მეოხებით დარჩი შენ დაუსჯელი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებულ ანდრია ფილიასთან და სხვებთან უნდა მჯდარიყავიო".

მიქელაძე ბოდიშს იხდიდა და დაჟინებით უმტკიცებდა ნ. ლაკობას, რომ ამ ჩაფუშვაში დამნაშავენი არიან ანდრია ფილია და სხვები, მან, მიქელაძემ კი ტერორისტული აქტის მოსახდენად ყველაფერი კარგად მოაწყო".

ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრებული ტერორისტული აქტის უშუალო ორგანიზატორმა — ა. მიქელაძემ ამ საკითხზე დაკითხვისას აჩვენა:

„ნ. ლაკობასგან მიღებული დავალების თანახმად, 1933 წლის ზაფხულში მე მოვახდინე ხელყოფა სტალინის სიცოცხლეზე მისი აფხაზეთში ყოფნის დროს. ეს ხელყოფა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, ბიჭვინთის ბუხტთან სროლა აუტეხეს კატარღას, რომელზეც სტალინი იმყოფებოდა. სწორედ ეს სროლა წარმოადგენს ჩემ მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტს. აქტი არ განხორციელდა მხოლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ და ამფარის (აფხაზეთის სახ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე) მიერ გადმობირებულმა... მკაფიოდ არ შეასრულა ჩემგან მიღებული დირექტივები".

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობა სწარმოებდა მოსკოვის ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის მითითებებით. ამის თაობაზე ბრალდებულმა კ. ინალ-იპამ აჩვენა:

„ნ. ლაკობამ მითხრა, რომ მალე დადგება დრო, როცა ზოგიერთი ვინმე უნდა „მოვიშოროთ" იმათი რიცხვიდან, ვინც ჩემი მიზნების მიღწევაში ხელს მიშლისო. ასეთი დავალება მას მიიღო მოსკოვის ტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელებისაგან: პიატაკოვისა, სერებრიაკოვისა და სხვებისაგან. ნ. ლაკობამ გულმოდგინედ დამიწყო მტკიცება, რომ პირველ რიგში უნდა მოვიშოროთ სტალინის ერთგული კაცი — ლ. ბერიაო. შემდეგში, 1936 წელს, უკვე მ. ლაკობას, ვ. ლაკობას, ბარციასა და ჩალმაზის თანდასწრებით, ლაპარაკობდა რა სტალინის პოლიტიკის შესახებ, მან განაცხადა, რომ დადგა დრო, როდესაც სტალინი უნდა მოვიშოროთ, რომ მოსკოვში და საზღვარგარეთ ყველაფერი მომზადებულია ამ მიზნისათვის, რომ მოსკოვში პიატაკოვმა და მისმა სხვა თანამოაზრეებმა მისცეს მას დავალება დაეჩქარებინა ტერორი. მეორე დილით ნ. ლაკობა შემეკითხა: „მზად ხარ თუ არა შეასრულო ის დავალება, რომელზეც მე გუშინ ვლაპარაკობდიო?" მე დადებითად ვუპასუხე".

ბრალდებულმა მიხეილ ლაკობამ შეკითხვაზე ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ აჩვენა შემდეგი:

„სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსახდენად ნ. ლაკობამ 1935 წელს მოაწყო ტერორისტთა ჯგუფი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრთა რიცხვიდან შემდეგი შემადგენლობით: კ. ინალიპა — გაგრის საკურორტო სამმართველოს ყოფილი დირექტორი, ვ. ლაკობა — აფხაზეთის რესპუბლიკური მილიციის ყოფილი უფროსი, სამსონ ფილია — გუდაუთის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე და ლ. კიუტი — საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის ყოფილი მდივანი. ყველა ამ პირთათვის შესაძლებელი იყო სტალინის საახლოვეს ყოფნა იმ დროს, როცა ის აფხაზეთში ისვენებდა. ნ. ლაკობამ ამ მიზნით სპეციალურად შეაიარაღა ვ. ლაკობა შაშხანა-ავტომატით, ინალ-იპა — გერმანული კარაბინით, ხოლო ლ. კიუტს მისცა თავისი რევოლვერი-პარაბელუმი ვაზნებით. შემდეგში ინალ-იპამ მითხრა, რომ ისინი ე. ი. ტერორისტები — ვ. ლაკობა, ს. ფილია და ის, კ. ინალ-იპა, ჩასაფრებული იყვნენ, მაგრამ დაავგვიანდათ, რა მიზეზითაც სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი აღარ მოხერხდა".

კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებულმა, ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა ს. ნ. არნაუტმა აჩვენა:

„ჩემს ჩვენებას სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ სავსებით ვადასტურებ. როგორც აღვნიშნე, ჩვენ, ე. ი. მე, არნაუტი, მ. ლაკობა, ვ. ლაკობა და სამსონ ფილია არაერთხელ ვმსჯელობდით პირველ რიგში სტალინის და ბერიას მოკვლის საკითხზე. მთავარი როლი ბერიას მოკვლაში უნდა შეგვესრულებინა მე და სამსონ ფილიას, რაზედაც მან, ე. ი. ფილიამ სრულიად უყოყმანოდ მომცა თანხმობა".

ამავე საქმის გამო დაპატიმრებული, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში პირადად ნ. ლაკობას მიერ ჩაბმული, გუდაუთის რაიონის კულანურხვის სოფლის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ანტიპარტიული მოქმედებისათვის საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან ორჯერ გარიცხული მ. ო. კოვე უჩვენებს:

„მალე ს. ფილიასთან ჩვენი შეხვედრის შემდეგ, მე ჩემს ბინაზე ქ. გუდაუთში მოვიწვიე ვიწრო თათბირი ხ. ციუბას და ნ. კაპშის მონაწილეობით, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივან ბერიაზე ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ. ამ თათბირზე გადასწყდა საბოლოოდ დაეჩქარებინათ ჩემთვის ბერიაზე ტერორისტული აქტის მოხდენა".

დაადასტურა რა ზევით აღნიშნული ფაქტები ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ, ბრალდებულმა ვ. დ. ლაკობამ შემდეგი უჩვენა:

„1934 წლის დეკემბერს ნ. ლაკობამ გამომიძახა და მითხრა, რომ მოსკოვში პიატაკოვისაგან მან მიიღო დავალება ფიზიკურად მოესპო სტალინი და ბერია და ამისათვის გამოეყენებინა მათი დასასვენებლად ყოფნა აფხაზეთში. ამასთანავე მან დამისახელა ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიაც შედიოდნენ ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის განსაკუთრებით საიმედო წევრები: კ. ინალ-იპა, დ. ჯერგენია, ლ. კიუტი, ს. ფილია. მან წინადადება მომცა დასახელებულ პირებთან ერთად მონაწილეობა მიმეღო სტალინზე და ბერიაზე ტერორისტული აქტის მოხდენაში... მე თანხმობა განვაცხადე და ლაკობამ მომცა თავისი თოფი-ავტომატი... ნ. ლაკობას დავალებით, სტალინისათვის უნდა ესროლათ კ. ინალ-იპას და ლ. კიუტს, მე კი, ვ. ლაკობას, და დ. ჯერგენიას —ბერიასათვის... 1935 წლის სექტემბერს სტალინისა და ბერიას მოკვლის მეორე ნაბიჯი იქნა გადადგმული ტერორისტული ჯგუფის მხრიდან, რომელიც ნ. ლაკობამ მოაწყო მისივე დავალებით... მ. ლაკობამ, როცა დამინახა „აბტაბაკის" შენობის ვერდით მიმავალი, დამიძახა თავის კაბინეტში და მითხრა, რომ ნ. ლაკობამ დაავალა მას, მ. ლაკობას, და ჩალმაზს სტალინისა და ბერიას მოკვლის მოწყობა".

მავნებლობასთან და ტერორისტული აქტების მომზადებასთან ერთად აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აწარმოებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობის მიზნით. ამ აჯანყებას უფარდებდნენ საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმას. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი — მ. ლაკობა ამის შესახებ უჩვენებს:

„ორგანიზაციის მთელი კონტრრევოლუციური მუშაობა და ჩვენს მიერ სოფლად შექმნილი მდგომარეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გამოგვეწვია უკმაყოფილება გლეხთა შორის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და დაგვენაგვიანებინა სოფელი კონტრრევოლუციონერებით და ანტისაბჭოთა ელემენტებით, შეგვენარჩუნებინა ანტისაბჭოთა კადრები, რომლებიც შესძლებდნენ ნ. ლაკობას პირველი სიგნალისთანავე იარაღით ხელში გამოსულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „დამოუკიდებელი აფხაზეთისათვის".

ეს დასტურდება აგრეთვე ბრალდებულ ხ. პ. ჩანბას ჩვენებით. ის ამბობს:

„კონტრრევოლუციონერების ტროცკისტ მ. გარციას და მ. ლაკობას პირდაპირი დავალებით მე და ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი კოლმეურნეები ჩაგვაბეს კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ - მავნებლურ ორგანიზაციაში, მავნებლობას ვეწეოდით კოლმეურნეობაში და ვამზადებდით შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად".

ამავე საკითხზე ბრალდებულმა მ. ი. ქიშმარიამ უჩვენა:

„საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყების შესახებ მე პირველად მელაპარაკებოდა 1936 წლის ზაფხულზე მ. გარცია, რომელსაც მაშამდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციაში. გარცია ამბობდა, რომ მავნებლობით კოლმეურნეობებში ჩვენ უნდა გამოვიწვიოთ გლეხების უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით, წავაქეზოთ ისინი მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ აჯანყებაში, რომელიც 1937 წლის ბოლოს მოხდება".

ბრალდებული მ. ჩალმაზი, ეხება რა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზანს, უჩვენებს:

„მთელი მუშაობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელსაც ნ. ლაკობა მეთაურობდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ გამოეწვია აფხაზეთის გლეხთა მოსახლეობის უკმაყოფილება, რათა საჭირო მომენტში გამოეყენებინა ისინი აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

ამავე საქმის გამო დაპატიმრებულმა კ. მ. კეტიამ უჩვენა:

„არძინბა გვეუბნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მავნებლობის გაწევა კოლმეურნეობებში, რომ ამით შევქმნათ უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ავაღელვოთ გლეხები და მოვამზადოთ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის".

ბრალდებულმა ვ. დ. ლაკობამ უჩვენა:

„მთელი მუშაობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელსაც ნ. ლაკობა მეთაურობდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ ერთის მხრივ გამოეწვია აფხაზეთის გლეხთა მოსახლეობის უკმაყოფილება და მეორეს მხრივ შეენარჩუნებინა სოფლად ანტისაბჭოთა კადრები, რათა საჭირო მომენტში გამოეყენებინა ისინი აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

წინასწარი გამოძიების მასალით დამტკიცებულია, რომ აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის მიზნით, კავშირი დაამყარა მენშევიკების არალეგალურ ორგანიზაციასთან.

ამავე საქმის გამო ბრალდებულმა, მენშევიკების კონტრრევოლუციური არალეგალური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი აფხაზეთში— ს. ს. თურქია, რომელიც ემიგრაციიდან დაბრუნდა მენშევიკების პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს სპეციალური დავალებით, უჩვენებს შემდეგს:

„1933 წლის ბოლოს ნ. ლაკობამ გამომიძახა მოსალაპარაკებლად. საუბრის დროს მან განაცხადა, რომ იცის იმის შესახებ, რომ მე ვეკუთვნი კონტრრევოლუციურ მენშევიკურ ორგანიზაციას და რომ მე, როგორც ასეთის წევრი, მისთვის სავსებით მისაღები ვარ და სწორედ ამიტომ მიმიღო სამუშაოდ ცაკში. შემდეგ ნ. ლაკობამ მითხრა, რომ თვითონ ის არის კონტრრევოლუციური მემარჯვენე - ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი და დავალება აქვს დაუკავშირდეს ჩვენს კონტრრევოლუციურ მენშევიკურ ორგანიზაციას. კავშირი ჩვენს მენშევიკურ ორგანიზაციასა და კონტრრევოლუციურ მემარჯვენე-ტროცკისტულ ორგანიზაციას შორის, რომელსაც ნ. ლაკობა მეთაურობდა, დამყარებულ იქნა საზღვარგარეთული ბიუროს მითითების თანახმად. ეს მითითება ჩვენ მივიღეთ... საშუალებით 1933 წელს".

არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის კავშირს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან, რომელსაც ნ. ლაკობა მეთაურობდა, ადასტურებს მენშევიკური ორგანიზაციის ერთერთი აქტიური წევრი, აფხაზეთის ცაკის ყოფილი კონსულტანტი ბ. ა. ნადარეიშვილი, რომელმაც დაკითხვის დროს უჩვენა:

„კავშირი ჩვენს მენშევიკურ ორგანიზაციასა და კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციას შორის, რომელსაც ნ. ლაკობა მეთაურობდა, ხორციელდებოდა ჩვენი ორგანიზაციის წევრის სიმონ თურქიას საშუალებით".

ამ საქმის გამო წარმოებული წინასწარი გამოძიების პროცესში მოპოვებული მასალებით უდავოდ დამტკიცებულია, რომ ნ. ა. ლაკობა, კ. ინალ-იპა, მ. ლაკობა 1919 წლიდან იყვნენ ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვის აგენტები: ამ დაზვერვას ისინი აწვდიდნენ ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს. ამ საკითხის შესახებ მ. ლაკობამ უჩვენა შემდეგი:

„ჩაგლის შემდეგ... (ერთერთ ქალაქში საზღვარგარეთ) ნ. ლაკობა დაუკავშირდა კონტრდაზვერვის ოფიცერს. ამ დროიდან, ე. ი. 1919 წლიდან იწყება ნ. ლაკობას უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ამ სახელმწიფოს დაზვერვასთან ჯაშუშურ - სადაზვერვო მუშაობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ... როგორც მე ზევით აღვნიშნე, ნ. ლაკობა საბოლოოდ გადაბირებულ იქნა 1921 წელს და თავის კავშირს ჯაშუშურ - სადაზვერვო მუშაობაში ამ სახელმწიფოს დაზვერვასთან ახორციელებდა იმ ოფიცრის საშუალებით, რომელმაც ის გადაიბირა. 1933 წლამდე, ე. ი. ამ ოფიცრის სიკვდილამდე. ამ ქვეყანაში ნ. ლაკობა სისტემატიურად გზავნიდა ჯაშუშურ ინფორმაციას კოლმეურნეობების, სამრეწველო საწარმოების მდგომარეობისა, აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების განწყობილებისა და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში".

მ. ლაკობამაც აგრეთვე აღიარა, რომ იმ პირმა, რომლის საშუალებითაც ნ. ლაკობას კავშირი ჰქონდა უცხოეთის დაზვერვასთან, წინადადება მისცა მას, მ. ლაკობას, მოეხდინა ტერორისტული აქტი და საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ამ საკითხის შესახებ ის უჩვენებს:

„1937 წლის მარტში, სოხუმში ჩემი დაპატიმრების წინ, მომმართა დაზვერვის ამ აგენტმა და მითხრა: „მალე იქნება საბჭოთა კავშირის ომი გერმანიასთან. თუ შენ ჰფიქრობ რაიმეს გაკეთებას ნ. ლაკობას სიკვდილისათვის შურისძიების წესით და გინდა მოჰკლა ვინმე პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებისაგან, შეასრულე ეს დამშვიდებით, მე კი გამოვი უცხოეთის პასპორტს და ერთად წავიდეთ საზღვარგარეთ".

უცხოეთის დაზვერვის აღნიშნული აგენტი, როგორც სჩანს დაშნაკთა ორგანიზაციის დაპატიმრებული ხელმძღვანელის ბუიაკლიანის ჩვენებებიდან, დაუკავშირდა დაშნაკების პარტიის არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, რომელთანაც ის იხილავდა საკითხს ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ.

გარდა ამისა, უცხოეთის დაზვერვის ამავე აგენტის სახლში ბრალდებულმა ვ. დ. ლაკობამ დამალა იარაღი, რომელიც განკუთვნილი იყო ტერორისტული ჯგუფისათვის, რომელშიაც შედიოდა თვითონ ეს აგენტი.

ეხება რა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრთა ჯაშუშურ მუშაობას, ბრალდებული ვ. დ. ლაკობა უჩვენებს:

„კ. ინალ-იპას და მ. ლაკობას სიტყვებიდან მე ვიცი, რომ ჯაშუშურ - სადაზვერვო მუშაობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნ. ლაკობა დაკავშირებული იყო ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვასთან. უცხოეთის დაზვერვის აგენტმა ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობაში ჩააბა აგრეთვე კ. ინალ-იპა და მ. ლაკობა. ნ. ლაკობა სისტემატიურად გზავნიდა ამ ქვეყანაში ჯაშუშურ ინფორმაციას კოლმეურნეობების, სამრეწველო საწარმოების მდგომარეობისა, აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების განწყობილებისა, საბჭოთა კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ... მ. ლაკობა და ინალ-იპა მთელ ჯაშუშურ მასალას გზავნიდნენ ამავე ქვეყანაში მასალის ნ. ლაკობას მიერ წინასწარი შემოწმების შემდეგ".

ამავე საკითხზე დაპატიმრებული მიხ. შლატერი უჩვენებს:

„აღნიშნული აგენტი ნ. ლაკობას დავალებით გამოყენებული იყო ჯაშუშური საქმიანობისათვის და იგზავნებოდა ერთერთ უცხო სახელმწიფოში. ისმეტ-კადე-ზადე იყო რეზიდენტი ჯაშუშურ საქმიანობაში. 1928 წელს ისმეტ-კადე-ზადე მეუბნებოდა, რომ ის დაკავშირებულია თავის ხალხთან, რომლის საშუალებითაც ეწევა თავის ჯაშუშურ საქმიანობას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ბოროტმოქმედებებისა, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრზე მ. ლაკობაზე ითვლება მთელი რიგი მკვლელობანი. 1927 წელს მ. ლაკობამ მოაწყო სოფლის აქტივისტის სანგულია-მიხაილოვის მკვლელობა. 1923 წელს მ. ლაკობამ გუდაუთის მილიციის უფროსად ყოფნის დროს, სისხლის აღების ნიადაგზე მოაწყო მილიციელ ერონიმუსის მკვლელობა და სხვ. ყველაფერი ეს დასტურდება ამ მკვლელობათა მონაწილეების მ. თოფურიძის, ხ. მარღანიას და სხვათა ჩვენებებით.

აღნიშნულის საფუძველზე ბრალი ედებათ:

1. მიხეილ ისლამის-ძე ჩალმაზს, დაბადებული 1902 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიპშში, აფხაზი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1924 წლიდან, გარიცხულია პარტიიდან 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ ყოფილი მიწსახკომი.

იმაში, რომ:

ა) იყო ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა აფხაზეთში, რომელიც მიზნათ ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით და აფხაზეთის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან. ნ. ლაკობას სიკვდილის შემდეგ მეთაურობდა და წარმართავდა მ. ლაკობასთან ერთად აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მუშაობას აფხაზეთში;

ბ) მეთაურობდა და აწყობდა მავნებლობას აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის განვითარების ჩაშლისა და კოლმეურნეობების დანგრევის გზით;

გ) აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის კურსში იყო, მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{8}, 58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

2. მიხეილ აპოლონის-ძე ლაკობას, დაბადებული 1898 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, „აბტაბაკის" ყოფილი დირექტორი,

იმაში, რომ:

ა) იყო ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა აფხაზეთში, რომელიც მიზნათ ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან. ნ. ლაკობას სიკვდილის შემდეგ მეთაურობდა და წარმართავდა აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობას აფხაზეთში;

ბ) იყო ერთერთი ხელმძღვანელი მავნებლობისა აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობებში აწყობდა კონტრრევოლუციურ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას კოლმეურნეობების დასაშლელად;

გ) შედიოდა აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტულ ჯგუფში და მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ;

დ) ახორციელებდა ჯაშუშურ-სადაზვერვო საქმიანობას საბჭოთა კავშირში და დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1}—ა, 19—58^{8}, 58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

3. კონსტანტინე პლატონის-ძე ინალ-იპას, დაბადებული 1895 წელს გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარაში, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, ყოფილ თავადთაგან, განათლება საშუალო, საკავშირო კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, გაგრის საკურორტო სამმართველოს ყოფილი დირექტორი,

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) აქტიურ მონაწილეობას იღებდა მავნებლურ მუშაობაში როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის ხაზით, აწყობდა სოფელ კალდახვარაში კონტრრევოლუციურ მავნებლურ ჯგუფს;

გ) შედიოდა ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში;

დ) ახორციელებდა ჯაშუშურ-დაზვერვითს საქმიანობას სსრ კავშირში და დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1}-ა, 19—58^{8}, 58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

4. დიმიტრი იოსების-ძე ჯერგენიას, დაბადებული 1902 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, საშუალო განათლებით, სსრ კავშირის მოქალაქე, საქართველოს კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1931 წლიდან, 1937 წელს გარიცხულია დაპატიმრებასთან დაკავშირებით, დაპატიმრებამდე ხორცის კომბინატის მმართველი, წინათ მუშაობდა გაგრის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ,

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ატარებდა მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დარგში, შედიოდა აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{8}, 58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

5. ვასილ დიმიტრის-ძე ლაკობას, დაბადებული 1887 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, „აზნეფტტორგის" კანტორის ყოფილი მმართველი,

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) მონაწილეობას იღებდა ძირგამომთხრელ მუშაობაში აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ხაზით და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საჯანყებო საქმიანობაში;

გ) შედიოდა ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{8}, 19—58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

6. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ლადარიას, დაბადებული 1900 წელს ქ. სოხუმში, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, განათლება, უმაღლესი,

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

საბრალდებო დასკვნა

(დასასრული)

წაკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1922 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, დაპატიმრებამდე ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე,

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) იყო აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დივერსიულ-მავნებლური საჯანყებო საქმიანობის კურსში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7} და 58^{11} მუხლებით.

7. ანასტასი ფეოფილაქტის-ძე ენგელოვს, დაბადებული 1891 წელს წალკის რაიონის სოფელ იდიკელესაში, ბერძენი, განათლება უმაღლესი, წინათ მუშაობდა აფხაზეთის სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლად თბილისში,

იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ატარებდა მავნებლობას აფხაზეთის სამრეწველო საქონლითა და საამშენებლო მასალებით მომარაგების დარგში;

გ) მონაწილეობას იღებდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7}, 19—58^{8} და 58^{11} მუხლებით.

8. სვიმონ სტეფანეს-ძე თურქიას, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, მოსამსახურე, მენშევიკთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი, ემიგრანტი, სსრ კავშირის მოქალაქე, დაპატიმრებამდე სოხუმის ქალაქის საბჭოს საერთო განყოფილების გამგე, აფხაზეთის სსრ ცაკის ყოფილი საქმეთა მმართველი,

იმაში, რომ:

ა) დაბრუნდა რა საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში მენშევიკთა საზღვარგარეთული ბიუროს სპეციალური დავალებით, ჩამოაყალიბა აფხაზეთში მენშევიკთა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური შლიერებისათვის ძირის გამოთხრას და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას;

ბ) მენშევიკთა არალეგალური ორგანიზაციის დავალებით, დაამყარა კავშირი აფხაზეთის კონტრრევოლუციურ დივერსიულ-მავნებლურ, ტერორისტულ, ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციასთან და მის ხელმძღვანელ ნესტორ ლაკობასთან, იმ მიზნით, რომ ერთად გაეტარებინათ მოქმედებანი, მიმართულნი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ და სსრ კავშირისაგან აფხაზეთის ჩამოშორებისაკენ, ეწეოდა ჯაშუშობას მენშევიკთა საზღვარგარეთელი ბიუროს სასარგებლოდ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1}-ა-^{2}, 58^{7}, 58^{10} და 58^{11} მუხლებით.

9. პავლე არუთინის-ძე სეისიანს, დაბადებული 1904 წელს ქალაქ გაგრაში, სომეხი, განათლებით აგრონომი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, გარიცხულია 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, გაგრის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილების ყოფილი გამგე,

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ეწეოდა მავნებლურ მუშაობას სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში იმ დავალებათა თანახმად, რომლებსაც ღებულობდა პირადად მიწათმოქმედების ყოფილი სახკომის მიხეილ ჩალმაზისაგან, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7} და 58^{11} მუხლებით.

10. მუხაიდ ისლამის-ძე ქიშმარიას, დაბადებული 1899 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩილოვში, აფხაზი, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1927 წლიდან, გარიცხულია 1935 წელს მემარჯვენე გადახრისათვის, ჩილოვის სოფლსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე,

იმაში, რომ:

ა) 1931 წელს იყო მონაწილე მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა აფხაზეთში;

ბ) 1936 წელს მიემხრო და გახდა მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

გ) სოფელ ჩილოვის კოლმეურნეობებში მოაწყო კონტრრევოლუციური ჯგუფები, რომელთა მეშვეობითაც ატარებდა მავნებლურ მუშაობას სოფლის მეურნეობაში, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7}, 58^{11} მუხლებით.

11. სეიდ ეჟგის-ძე ებუნოუს, დაბადებული 1892 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვაში, ცოლშვილიანი, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, კოლმეურნეობა „ხუდაროს" თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე,

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა;

ბ) მიხეილ ლაკობას დავალებით აფხაზეთში ამ ორგანიზაციაში აბამდა საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილო პირებს;

გ) ეწეოდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობა „ხუდაროში";

დ) აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მის მიერ ჩაბმულ წევრთა შორის ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, მოუწოდებდა მათ შეიარაღებული აჯანყებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7} და 58^{11} მუხლებით.

12. ხ. პ. ჩანბას, დაბადებული 1887 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიში, ცოლშვილიანი, უპარტიო, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, ლიხნის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აშიდრას" ყოფილი თავმჯდომარე,

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) მიხეილ ლაკობას დავალებათა განსახორციელებლად აფხაზეთის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში აბამდა წევრებს, ეწეოდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობა „აშიდრაში";

გ) ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას კოლმეურნეთა შორის, მოუწოდებდა მათ შეიარაღებული აჯანყებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. დანაშაულობებში რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7} და 58^{11} მუხლებით.

13. კემსის ჯირის-ძე ახუბას, დაბადებული 1875 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩილოვში, აფხაზი, კოლმეურნეობა „აფსნი-კავშის" ყოფილი წევრი, წინათ განუცდია რეპრესია კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის,

იმაში, რომ:

ა) იყო მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ეწეოდა მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას სოფელ ჩილოვის კოლმეურნეობებში;

გ) აბამდა წევრებს აფხაზეთის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში;

დ) ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას შეიარაღებული აჯანყებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58^{2}, 58^{7} და 58^{11} მუხლებით.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულმა ყველა პირმა თავი სცნო დამნაშავედ მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

ეს საქმე უნდა გადაეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს სასამართლოს 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის წესით განსახილველად.

აფხაზეთის ასსრ პროკურორი
ვ. შონია

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურატურისაგან

ა. წ. 30 ოქტომბერს, ქ. სოხუმში, სახელმწიფო თეატრის შენობაში იწყება სასამართლო პროცესი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შინსახკომის მიერ აფხაზეთში გამომჟღავნებული და ლიკვიდირებული კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური ტერორისტულ - საჯანყებო ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილეთა საქმეზე; ამ ორგანიზაციას მეთაურობდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის ყოფილი თავმჯდომარე **ნ. ლაკობა.**

ამ საქმის გამო პასუხისგებაში არიან მიცემული — **მ. ი. ჩალმაზი, მ. ა. ლაკობა, კ. პ. ინალ-იპა, ვ. კ. ლადარია, ვ. დ. ლაკობა, დ. ი. ჯერგენია, ა. ფ. ენგელოვი, პ. ა. სეისიანი, ს. ს. თურქია, მ. ი. ქიშმარია, ს. ე. ებუნოუ, ხ. პ. ჩანბა** და **კ. დ. ახუბა** საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1}ა, 19—58^{2}, 58^{7}, 19—58^{8} 58^{9} და 58^{11} მუხლების მიხედვით.

საქმეს გაარჩევს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულო 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის წესით შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ტ. ანტია** და წევრები — ამხ. **ტ. ბგანბა** და **კ. ქოიავა.**

ბრალდებას მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურორი ამხ. **ვ. შონია.**

ბრალდებულებს — ვ. ლაკობას, მ. ქიშმარიას, კ. ახუბას, ხ. ჩანბას, ს. ებუნოუს, პ. სეისიანს და ა. ენგელოვს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები ამხ. **გ. ზუხბაი** და **ე. ნადარეიშვილი.** დანარჩენმა ბრალდებულებმა უარი განაცხადეს დამცველზე.

პირსისხლიანი ჯაშუშ-დივერსანტები უნდა დაიხვრიტონ

(სოხუმი, ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გუშინ აფხაზეთის საოლქო გაზეთში გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა აფხაზეთში მომქმედი კონტრრევოლუციური, დივერსიულ - მავნებლური, ტერორისტულ - საჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილეთა ჩალმაზის ლაკობას, ინალ-იპას, ჯერგენიას, ლადარიას და სხვათა საქმეზე.

სოხუმის ნავსადგურის, თამბაქოს ფაბრიკის, საკონსერვო და ტყავის ქარხნის და სხვა წარმოება - დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომელიც იმავე დღეს გაიმართა მშრომელები გამოსთქვამენ უსაზღვრო სიძულვილს ხალხის მტრების მიმართ. თავიანთ სიტყვებში ისინი მოითხოვენ, რათა ბოლომდე გამომჟღავნებულ და განადგურებულ იქნან ამ ბინძური ხროვის ჯერ კიდევ დარჩენილი ნაბოლარები და სთხოვენ საბჭოთა სასამართლოს ცამეტივე მტრის მიმართ უმაღლესი სასჯელის გამოტანას. პროცესი დაიწყება დღეს, 30 ოქტომბერს, დილის 11 საათზე. პროცესზე დასასწრებლად ჩამოსული არიან აფხაზეთის კოლმეურნეობათა და მუშათა წარმომადგენლები.

აღვგავოთ პირისაგან მიწისა საზიზღარი ქვეწარმავალნი ფაშისტი ჯაშუშები, ტერორისტები, დივერსანტები

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის 400-ზე მეტი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეიკრიბა მიტინგზე რათა გამოეთქვათ თავისი გულისწყრომა და სიძულვილი საძაგელ ქვეწარმავალთა, ფაშისტების მიერ დაქირავებულ აგენტთა საზიზღარი ხროვის წინააღმდეგ, რომელიც მოკალათებული იყო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

მოისმინეს რა ამხ. მაზმანიშვილის ცნობა საბრალდებო დასკვნის შესახებ მ. ი. ჩალმაზის, მ. ა. ლაკობას, კ. პ. ინალ-იპას, დ. ი. ჯერგენიას, ვ. კ. ლადარიას და სხვების საქმეზე ზედიზედ გამოდიან მუშები, და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ფაშიზმის საზიზღარ მახინჯებს, რომელნიც მიზნად ისახავდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან.

— როდესაც საბჭოთა მძლავრი ქვეყანა უახლოვდება დიად თარიღს — დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ხალხის მტრები თავიანთი საზიზღარი საქმიებით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის ძლიერებას და შეარყიონ მშრომელთა მასების ნდობა პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მაგრამ ცდა ამაოა. ხალხი აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულითა და ნდობით ლენინ-სტალინის პარტიისადმი; საბჭოთა ხელისუფლებისადმი. 30 ოქტომბერს საბჭოთა სასამართლო გაასამართლებს ფაშისტ-ჯაშუშთა, დივერსანტთა, ტერორისტთა ამ საზიზღარ ბანდას. ჩვენ საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან მოვითხოვთ გამოიყენოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, — ამბობს სტახანოველი იარალოვი.

იარალოვის შემდეგ გამოდიან სტახანოველები მერაბიშვილი, ბიბილეიშვილი, კანდელაკი და სხვ. მათი გამოსვლები აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი და სიძულვილით საძაგელი ქვეწარმავლებისადმი, ხალხის მტრებისადმი.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი კლასობრივი მტრის გამოლაშქრების პასუხად უფრო მჭიდროდ დაირაზმება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, კიდევ უფრო ძლიერ გაამახვილებს შეტევით რევოლუციურ სიფხიზლეს. საბჭოთა ხალხის მახვილი თვალი ყველგან და ყოველთვის გამოაამჟღავნებს ხალხის მტრებს, როგორც არ უნდა შენიღბონ ისინი. (საქინფორმი).

სსრ კავშირისა და გერმანიის მიწვევა ცხრა სახელმწიფოს კონფერენციაზე

პარიზი, 28 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იტყობინება, რომ „იმ ქვეყნების მთავრობების თანხმობით, რომლებმაც ხელი მოაწერეს ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებას და მიიღეს წინადადება მონაწილეობა მიიღონ ბრიუსელის კონფერენციაზე, ბელგიის მთავრობამ მიიწვია სსრ კავშირისა და გერმანიის მთავრობები ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად".

ფაშისტმა პირატებმა სროლა აუტეხეს ინგლისის გემს

ლონდონი, 28 ოქტომბერი (საქდესი). კორნუელის რადიოსადგურიდან მიღებულია ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 27 ოქტომბერს ინგლისის გემმა „სტენრეიმ" რადიოთი ითხოვა შველა, ამასთან აღნიშნა, რომ მეამბოხეთა სამხედრო ტრალერმა მას ჯერ სროლა აუტეხა, ხოლო შემდეგ გააჩერა ავილესის მახლობლად (ესპანეთის ბისკაის სანაპირო) ნაპირიდან სამნახევარი მილის მანძილზე.

ჩან კაი-შის ინტერვიუ

ლონდონი, 28 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ნანკინელ კორესპონდენტს მოჰყავს ინტერვიუ, რომელიც მას ჩან კაი-შიმ მისცა. ეთანხმება რა იმ აზრს, რომ ჩინეთის ჯარების უკან დახევა შანხაიში ახალ პოზიციებზე იმედის გაცრუებას იწვევს, ჩან კაი-შიმ განაცხადა: შანხაისა და ხებეის პროვინციის ამბები არ უნდა იქნას მიღებული, როგორც საომარი მოქმედების შემდგომი მიმდინარეობის მაჩვენებელი, რამდენადაც ეს ფრონტები არ ყოფილან მომზადებულიო. „ნამდვილი თავდაცვითი ომი ამ ფრონტებზე როდი იქნება", — სთქვა ჩან კაი-შიმ.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ ჩინეთი დიდად აფასებს ინგლისის ხალხის სიმპატიებსა და მოძრაობას იაპონიის საქონლის ბოიკოტისათვის, ჩან კაი-შიმ განაცხადა: „მაგრამ ეს არ კმარა". „რატომ აძლევს ინგლისის ხალხი თავის მთავრობას იმის ნებას, რომ არაფერი აკეთოს იმ დროს, როდესაც ბლოკადა არღვევს ინგლისელთა უფლებებსა და ინტერესებს?—იკითხა ჩან კაი-შიმ. რისთვის არ იცავს ინგლისის ფლოტი თავის ტრადიციებს, რათა შეინარჩუნოს წყნარ ოკეანეში ნაოსნობის უფლება? ჩვენ სრულიადაც არ ველით იმას, რომ ინგლისი დაიწყებს ომს იაპონიასთან, მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ იგი მხარს დაუჭერს 9 სახელმწიფოს პაქტს. ჩემი მიმართვა ბრიუსელის კონფერენციისადმი ასეთია: ჩინეთს იმედი აქვს, რომ 9 სახელმწიფოს პაქტის ასო და სული დაცული იქნება".

დღეს თეატრებში და კინოებში

ოპერის თეატრი — „დაისი", რუსთაველის თეატრი — „ალკაზარი", მარჯანიშვილის თეატრი — „იცკა რიჟინაშვილი", მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „ნაცარქექია".

კინოებში: ოქტომბერი—„ოქროს ტაიგა", დამკვრელი — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები", კომკავშირელი — „მოსკოვ-ვოლგა", ლუქსემბურგი — ილია ჭავჭავაძე, სპარტაკი — „ოქროს ტაიგა", კომინტერნი — „სნაიპერი", არსენა — „პეტრე I".

მოსკოვი-თბილისი

ფეხბურთის მატჩი საკავშირო პირველობაზე

დღეს, 30 ოქტომბერს. — ფეხბურთში საკავშირო პირველობის გათამაშების [illegible] ნილია ორი შეხვედრა, რომელთაგან ერთი ჩატარდება თბილისში, მეორე — მოსკოვში. თბილისში თამაშობენ ადგილობრივი „დინამო" და მოსკოვის „ლოკომოტივი", ხოლო მოსკოვში — „სპარტაკი" და „ცდკა".

პირველ მატჩს ადგილების განაწილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თბილისის „დინამო", მოიგებს თუ წააგებს ამ მატჩს, მაინც მეოთხე ადგილზე გამოდის. „ლოკომოტივისათვის" კი, რომელსაც ამჟამად 29 ქულა აქვს, მოგება ნიშნავს მეხუთე - მეექვსე ადგილის გაყოფას „მეტალურგთან" ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მატჩი პირველობის გათამაშების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს, თამაში, უნდა ვიფიქროთ, მაინც საინტერესო იქნება, რადგან „ლოკომოტივი" ერთერთი უძლიერესი გუნდია საბჭოთა კავშირში. წელს იგი შედარებით სუსტად თამაშობს, თუმცა მთელი რიგი პასუხსაგები მატჩები თავის სასარგებლოდ დაამთავრა (მოუგო მოსკოვის და ლენინგრადის „დინამოს"). შეხვედრა თბილისის „დინამოსთან" პირველობის გათამაშების პირველ წრეში ლოკომოტიველების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 1:0.

„ლოკომოტივში" თანაბრად ძლიერია მოთამაშეთა ყველა რგოლი. განსაკუთრებით გამოირჩევიან მეკარე გრანატკინი, მცველები გვოზდკოვი და ანდრეევი, თავდამსხმელები ტერენკოვი (მარჯვენა გარემარბი), ჰაიკ ანდრიასოვი (ცენტრ-ფორვარდი) და სხვ.

თამაში დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

შემთხვევები

— **ქურდთა ბრბოს შეპყრობა.** მილიციის თანამშრომლებმა აბასთუმნის ქუჩაზე № 4 სახლის ეზოში აზარტული თამაშის დროს შეიპყრეს: ი. შამოვი, შ. მიკირტიჩიახი, ტ. რაგიმ-ოღლი, კ. კოტოვი, ბ. ჯიოევი, დ. სარქისოვი, შ. გვედალიანი, ა. ვოლკოვი, გ. ქოიავა, ვ. ქეროფიანი და გ. მიკირტუმოვი. ყველა ისინი აღმოჩნდნენ ქურდი-რეციდივისტები, რომლებსაც რამდენიმე რეგისტრაცია აქვთ.

— **გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.** 28 ოქტომბერს შაუმიანის ქუჩაზე მოქ. ლ. ა. ეფიმენკო (ბელინსკის ქ. № 47) № 9 მარშრუტის ტრამვაის ვაგონზე შეხტომის დროს ჩავარდა უკანა ვაგონის ქვეშ. თვლებმა მას ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოათავსეს.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

31 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე შესდგება ამხ. მელქაძის მოხსენება თემაზე: „1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება და ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სსრ კავშირში".

○

31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 26 კომ. სახ. რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. პირაევის მოხსენება თემაზე: „რომელ მტრებთან ბრძოლაში მიაღწია ბოლშევიკთა პარტიამ სოციალიზმის გამარჯვებას სსრ კავშირში".

გ. გელაშვილი
საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფოს, სადაც მშრომელები ნამდვილად უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაცვით. საბჭოთა მედიცინა არსებითად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების მედიცინისაგან. საბჭოთა მედიცინა ემსახურება მშრომელებს. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირში უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. სტალინური კონსტიტუცია—ეს უდიდესი დოკუმენტი, რომელიც სოციალიზმის მშენებლობისათვის მშრომელების ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგებს ასახავს, სავსებით უზრუნველყოფს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას.

პარტია და მთავრობა ყველა ობიექტურ პირობას ჰქმნიან ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით დიდია ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვა ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე.

საკავშირო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლ. ივნისის ისტორიულმა დადგენილებამ უკვე ერთი წლის განმავლობაში უზრუნველჰყო უდიდესი მიღწევები საბჭოთა ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობის დაცვაში.

განსაკუთრებით დიდია მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის დარგში ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა კუთხეებში. მეფის თვითმპყრობელობის დროს საქართველო წარმოადგენდა კოლონიურ სანაპირო ქვეყანას, მას ახასიათებდა ჯანმრთელობის დაცვის საქმის საერთო ჩამორჩენილობა.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს აყვავდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მოსახლეობის სამედიცინო და კერძოდ საექიმო დახმარება მეფის რეჟიმის დროს, მხოლოდ ბიუროკრატ მოხელეთა და მეფის გარყვნილ სამხედრო პირთა ზედაფენის კუთვნილებას წარმოადგენდა. ქართველი ხალხის სამედიცინო დახმარება ძირითადად მინდობილი ჰქონდა მარჩიელებს და უკეთეს შემთხვევაში ფერშლებს.

ომამდე საქართველოში იყო 36 ცუდად მოწყობილი პატარა საავადმყოფო 1985 საწოლით და რამდენიმე ათეული საექიმო პუნქტი. საავადმყოფოს 1 საწოლი მოდიოდა 1300 სულ მოსახლეობაზე.

მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაში ჯანმრთელობის დაცვის საქმე საქართველოში კიდევ უფრო გაუარესდა. 1914 წელთან შედარებით საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებში 900-ით შემცირდა.

ამრიგად, საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვამ მენშევიკების ბატონობის შედეგად უბადრუკი მემკვიდრეობა მიიღო.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე საბჭოთა საქართველოში გვაქვს საქალაქო და სასოფლო 169 საავადმყოფო 9.186 საწოლით. სოფლის საექიმო პუნქტების რიცხვი 36-დან 650-მდე გაიზარდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი მუდამ და კონკრეტულად ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე, ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ სპეციალურად გაამახვილა ყრილობის ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე და მიგვითითა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის კიდევ მეტი გაუმჯობესების საჭიროებაზე.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს მშრომელ ქალთათვის მშობიარობის დროს დახმარების საქმეში. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენ გვქონდა მხოლოდ 96 სამშობიარო საწოლი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე გვაქვს—1464.

დიდად გაიზარდა საბებიო პუნქტების რიცხვი. მათი რაოდენობა 1937 წელს 210-ს უდრის. საბავშვო ბაგეები წინათ სრულებით არ გვქონდა, 1937 წელს გვაქვს 9300 საწოლი მუდმივ ბაგებში და 13.000—სეზონურში.

კანონმა აბორტების აკრძალვის შესახებ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მოგვცა თავისი დადებითი შედეგები. 1936 წელთან შედარებით აბორტების რიცხვი შემცირდა 75 პროცენტით. გაიზარდა მშობიარობა: 1936 წელს დაბადებულთა რიცხვი უდრიდა 79.395. 1937 წელს კი 6 თვის განმავლობაში, არა-სრული ცნობების მიხედვით, რეგისტრირებულია 44.843 დაბადება.

მეფისა და მენშევიკების დროის საქართველო ხასიათდებოდა მასობრივ ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელებით, როგორიცაა, პარაზიტარული ტიფი, მუცლის ტიფი, ყვავილი და სხვ.

ეპიდემიებთან გეგმიანმა და სისტემატურმა ბრძოლამ მოგვცა მათი მკვეთრი შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული არასრული სტატისტიკურ მონაცემების მიხედვითაც კი, ეპიდემიების შედეგად საქართველოში ყოველ წლობით იღუპებოდა ათი ათასობით მოსახლეობა.

ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე ჩვენ გვაქვს ტიფით დაავადების მკვეთრი შემცირება, ხოლო ყვავილით დაავადება კი—მთლიანად ლიკვიდირებულია. რევოლუციამდე საქართველოში სრულებით არ იყო ეპიდემიის საწინააღმდეგო ქსელი, თუ მხ[illegible]ლობაში არ მივიღებთ უვარგისსა და ძველ სადეზინფექციო ბაზას, რომელიც არსებობდა მხოლოდ ქ. თბილისში. ამჟამად საქართველოს ყველა რაიონს აქვს სადეზინფექციო მოწყობილობა და სანიტარულ ჰიგიენური ლაბორატორიების ქსელი.

გვაქვს სამეცნიერო-კვლევითი, სასანიტარო-ჰიგიენური ინსტიტუტი, მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტი.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა: ამ ახლო მომავალში მთლიანად მოვსპოთ პარაზიტარული ტიფების შემთხვევები, მკვეთრად შევამციროთ მუცლის ტიფით დაავადებანი და ბავშვთა ინფექციები.

მშრომელთა შორის ფართოდ არის დანერგილი სანიტარული განათლება. მარტო 1936 წელს ნაციონალურ ენებზე გამოვიდა: 66.000 ეგზემპლარი წიგნი, 100.000 ცალი პლაკატი და 200 ათასი ფურცელი. ჯანსახკომისარიატს აქვს თავისი მოძრავი სანიტარული თეატრი.

წინათ საქართველოში მალარიასთან არავითარი ბრძოლა არ სწარმოებდა. არ არსებობდა სპეციალურად მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებანი, არ იყო სათანადო კადრები. ეს კი სწორედ მაშინ, როცა საქართველოში მალარია მძვინვარებდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩვენში გეგმიანი, სისტემატური, ორგანიზებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. ფართოდ ვითარდება მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა ქსელი. 1937 წ. საქართველოში გვაქვს: 2 ტროპიკული ინსტიტუტი თბილისსა და სოხუმში (მთავრდება მესამე ინსტიტუტის მშენებლობა ბათუმში), 31 ტროპიკული სამალარიო სადგური, 120 სამალარიო-საექიმო პუნქტი, 144 პროფილაქტიკური პუნქტი, 30 სამალარიო კაბინეტი, 5 მოძრავი სამალარიო და ჰელმინტოლოგიური რაზმი. ამ ქსელში მუშაობს 270 ექიმი—მალარიოლოგი.

მალარიის საწინააღმდეგო გეგმიანმა ბრძოლამ, ფართო ქსელთან და კადრებთან ერთად, მოგვცა მალარიით დაავადების შემცირება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მალარიით დაავადებული იყო მთელი მოსახლეობის 30 პროცენტამდე—1.000.000 კაცი. 1936 წელს კი რეგისტრირებულია 297.000 პირველადი მომართვა, ხოლო 1937 წლის 6 თვის განმავლობაში—103.256.

1921 წელს მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა დაფინანსება სრულებით არ გვქონდა. 1932 წ. დახარჯულია 2.147.500 მანეთი 1937 წ.—10 მილიონი.

მენშევიკების ბატონობის შემდეგ საბჭოთა საქართველომ მემკვიდრეობის სახით მიიღო 145 მოუწყობელი კერძო, პატარა აფთიაქი. ეს აფთიაქები უმთავრესად მოთავსებულ იყო ქალაქებსა და სარაიონო ცენტრებში. 1937 წელს გვაქვს 368 კარგად მოწყობილი და ყველა სახის მედიკამენტით მომარაგებული აფთიაქი. მთელ რიგ მსხვილ რაიონებს საქართველოში სრულებით არ გააჩნდათ სააფთიაქო ქსელი. მაგალითად სვანეთში 1921 წლამდე არ იყო არცერთი აფთიაქი, 1937 წელს იქ გვაქვს 5 აფთიაქი; სამხრეთ-ოსეთს 1921 წლამდე ჰქონდა 1 აფთიაქი, 1937 წელს კი აქვს 11 აფთიაქი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში დაიწყო განვითარება ფარმაკო-ქიმიურმა მრეწველობამ, რომელსაც აქვს 2 ქარხანა: თბილისსა და ბათუმში.

საქართველოს ფარმაკო - ქიმიურ მრეწველობას განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს, ვინაიდან საქართველო მდიდარია სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულით.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კი და პირადად ამხანაგი ლ. პ. ბერია დიდ ყურადღებას აქცევენ საქართველოს ახლად ფეხადგმული ფარმაკო - ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

ოქტომბრის რევოლუციამდე სრულებით არ გვქონდა უმაღლესი სასწავლებლები მით უმეტეს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი.

1937 წელს საქართველოში არის 3 უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი: სამედიცინო, ფარმაცევტული და სტომატოლოგიური ინსტიტუტები. ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 3.125 სტუდენტი. მხოლოდ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში (1934-1937 წლებში) თბილისის მედინსტიტუტმა გამოუშვა 1.500-მდე სხვადასხვა სპეციალობის ექიმი. უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები უზრუნველყოფილი არიან საკუთარი ნაციონალური მეცნიერული - პედაგოგიური კადრებით. გვყავს 55 პროფესორი და 178 ასისტენტი, სწავლა მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე. გარდა ამისა, 1936 წლიდან მუშაობს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი.

1935 წლიდან თბილისში შენდება ახალი სამედიცინო ქალაქი, რომელზედაც 40 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება.

ფართოდ არის განვითარებული აგრეთვე საშუალო სამედიცინო სასწავლებლების ქსელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში არსებობდა მხოლოდ ერთი საფერშლო სკოლა, ამჟამად გვაქვს 16 ნორმალური საშუალო სამედიცინო სკოლა, სადაც 3.500-მდე მოწაფე სწავლობს, გარდა ამისა, საბაგრდებისა და სხვა საშუალო კადრების მოსამზადებლად გახსნილია 60 სკოლა.

წინათ საქართველოში არ იყო არცერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ამიტომ სამეცნიეროკვლევითი მუშაობა ფაქტიურად არ სწარმოებდა.

ახლა ჩვენ გვაქვს 14 სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო - პრაქტიკული ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები მუშაობას ეწევიან ზოგადი სამეცნიერო პრობლემების შესასწავლად, ამუშავებენ სამხარეო პათოლოგიის საკითხებს და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მენშევიკებისაგან გაპარტახებული საკურორტო მეურნეობა მიიღო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება საქართველოში საკურორტო საქმის გეგმიანი განვითარება.

საქართველოს ძირითადი კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, გაგრა, გულრიპში ფართოდ არიან ცნობილი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში. ეს კურორტები ემსახურებიან სსრ კავშირის ყველა კუთხიდან ათასობით ჩამოსულ მშრომელებს.

საქართველოს კურორტები განსაკუთრებით განვითარდნენ საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილების შემდეგ ამ დადგენილებით ა-კ. სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ს ევალებოდა კონკრეტული გეგმის დამუშავება ა-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში საკურორტო საქმის ყოველმხრივ განსავითარებლად. მხოლოდ ამ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საქართველოს კურორტების ახალ მშენებლობაზე დაბანდებულია 120 მილიონი მანეთი.

უკანასკნელ წლებში გარდა ცნობილი კურორტებისა, საქართველოში გამოვლინებულია ახალი საკურორტო სიმდიდრენი, როგორიც მაგალითად, მენჯი თავისი სამკურნალო მინერალური წყაროებით, რომლებიც შემადგენლობით უახლოვდებიან მაცესტას. კურორტ მენჯის მშენებლობაზე მუშაობა დაიწყო 1936 წლიდან.

მენჯს გარდა გამოვლინებულია სხვა ახალი კურორტებიც, რომელთაც აქვთ დიდი მომავალი: საირმე, სკური, და სხვ.

1937 წელს საქართველოს კურორტებზე მუშაობს 11.000 საწოლზე მეტი, სადაც წლიურად 100.000-მდე კაცი ტარდება, ამრიგად საბჭოთა საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის სამჭედლოდ. საბჭოთა საქართველოში შექმნილია ყველა პირობა მშრომელების ჯანმრთელობის დაცვის საქმის კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა საქართველოს მედმუშაკები გამოწრთობილი ბოლშევიკის, დიდი სტალინის მოწაფის — ამხანაგი ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით კიდევ უფრო აამაღლებენ ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამ დივნოსი: 3—06—88, განცხადებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მდივნის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8966